1896 թ. հարկի վերաբերյալ խումբի	165 "	
Եւրոպայի խումբի	5222 77	
" " " " " " " "	19 72	
" " " " " " " "	145 90	6859 39
" " " " " " " "	19 72	
" " " " " " " "	6664 67	6684 39
1896 թ. հարկի վերաբերյալ		175 "
XII Կոմերսիոն խումբ		
1896 թ. հարկի վերաբերյալ խումբի	39 96	
" " " " " " " "	40 "	
" " " " " " " "	136 24	
" " " " " " " "	3 52	219 72
" " " " " " " "		522
" " " " " " " "		214 47

Երև թիվը եւ ին ղի ղընա :

199. Է Ն.Ն. Երևանցի ղի ղի

561 79

" ii " " "

268 16

Նարթեճ " " "

274 76

Կյարճեճ " " "

1219 24

արճ " " "

47 97

ղի ղի եր արճ Երևանցի ղի ղի

5 25

2376 10

2590 57

Երև թիվը եւ ին ղի ղընա. 199. Է Երևանցի ղի ղի

525 88

" ii " "

277 49

Նարթեճ " " "

251 40

Կյարճեճ " " "

907 20

արճ " " "

46 25

2008 92

Բնիկ Լոս. 18996. 199. Է Ն.Ն. Երևանցի ղի ղի

75 80

" ii " "

30 67

Նարթեճ " " "

226 89

Կյարճեճ " " "

447 28

արճ " " "

172

589 35

XIII ղի ղի ղընա ղի ղընա

Լոս. 18996. ար

151 "

Երև թիվը եւ ին ղի ղընա

5315 21

5466 91

" " Նարթեճ արճ

4848 19

Լոս. 18996. Բնիկ

619 02

XIV ղի ղի ղընա

Երև Երև ղի ղընա ար

174 60

Երև թիվը եւ ին ղի ղընա արճ

794 36

968 96

96

97

95

97

39

39

72

25

47



XV Վերաբերյալ

1 տե. 1898 թ. հիւնք կենցաղական զույգ	12238	45	
Երևն զմեզ Եւն զայլու: Երգելան	7687	97	
պիտան	102	"	
Երգելան կիթոլան	1486	12	
Խնդր զ Խնդրու:	310	25	
Երգելան Զարգում զ Զարգելան	521	36	22346 16
" " զպիտան ուր Երգելան Երգելան	6449	15	
" կիթոլան	1165	15	
" Երգելան	96	58	
Երգելան	417	50	
Խնդր	236	92	8364 34
1 տե. 1895 թ. Երևն			13981 6

XVI Երևն Երգելան կիթոլան Երևն

Վ Երգելան

1 տե. 1896 թ. պլ	723	65	
Երևն զմեզ Եւն զայլու զարգում Երգելան Երևն	55	90	779 55
Զայլու " Երևն Երգելան Երևն			420 "
			359 55

3) Երգելան

1 տե. 1898 թ. պլ			3039 10
Երևն զմեզ Եւն զարգում	55	90	
" " Երևն Երևն Երևն	3	60	59 50
1 տե. 1899 թ. Երևն			2979 60

XVII Երևն Երգելան Երևն Երևն

1 տե. 1894 թ. պլ	85	40	
Երևն զմեզ Եւն զարգում ուր	2137	50	2222 90
" " Երևն Երևն ուր			1910 46
1 տե. 1896 թ. Երևն			412 26

XVIII ևնշտեղծ անձեյն:

1 րտ. 1898 թ. օր: Եղեցյան	6618 10	
Երազյան	1595 60	
Կ. Գրեկյան	245 50	
Գ. Եղեցյան	400 -	8859 20
Երև ընդունված Երազյան	838 57	
Երազյան	79 78	
Կ. Գրեկյան	12 25	930 60
		9789 80
1 րտ. 1899 թ. օր: Եղեցյան	7456 67	
Երազյան	1675 38	
Կ. Գրեկյան	257 75	
Գ. Եղեցյան	400 -	9789 80

XIX ֆոնդ


1 րտ. 1899 թ. օր: Երազյան անձեյն	8368 31	
Երազյան	6814 39	15189 70
Երև ընդունված Երազյան Երազյան	174 60	
" 80% Գրեկյան Երազյան	321 53	
Երազյան 20%	80 36	576 49
1 րտ. 1899 թ. օր: Երազյան	8448 67	
Երազյան	7310 52	15759 19

Ձեռքում:			
Հարկերի իջեցում		10374	67
Խնայման		20864	44
անձամբ		929	56
Գնահատման		612	09
ընկերության		427	21
Խնայման		77	"
դր. 1. Խնայման Խնայման		593	71
" 2. " "		299	04
Ներդրման		355	40
խնայման		907	20
պահ		154	"
Գնահատման Խնայման, Խնայման և Խնայման		790	37
Խնայման-Խնայման		512	74
ընկերության		579	52
ընկերության և ընկերության		68	62
ընկերության և Գնահատման և Խնայման		81	26
ընկերության		461	36
Խնայման Խնայման		000	"
" Խնայման Խնայման		420	"
" Խնայման		120	"
Խնայման Խնայման		388	05
Խնայման Խնայման Խնայման 20% Խնայման Խնայման			39218 02
" " " 80% Խնայման Խնայման			80 36
" " " 80% Խնայման Խնայման			321 53
			39619 91

Հիշողություն

Հիշողություն:	
Առնչվող գրքեր	362
գրքերի վրա հիշողություն	319 95
Ներքև և Ներքև հիշողություն	3199 69
գրքերի վրա հիշողություն	2136 96
ուրուրտ հիշողություն	452 39
հիշողություն Ներքև հիշողություն	9830 80
հիշողություն " "	19254 69
199 I հ.հ. հիշողություն	381 72
" II " "	89 16
հիշողություն " "	1118 24
հիշողություն " "	239 76
պարտ " "	53 22
2-րդ հիշողություն գրքերի վրա	1589 34

3961991



Հիշողություն

Հին	598 85	
Քանի որ կան սեպտեմբեր	951 30	
Ընդամենը գումար	2000	,
10 հիմունքներ	11 816 11	
Բացարձակ 1 հիմունքի 10 փոխարինում	191 15	
Երկրորդ հիմունքներ	14 280 42	
Մեծագույն հիմունքներ	49 80 58	
Այլընտրանքային հիմունքներ	25 29 73	
Այլընտրանքային հիմունքներ	67 50	
Երկրորդ հիմունքներ Լեզու	30 22 47	
Երկրորդ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ	175	,
Յուրաքանչյուր հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ	592 36	
Որոշումներ հիմունքներ հիմունքներ	618 02	
Ընդամենը	968 96	43 288 44


Երկրորդ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ
 հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ հիմունքներ

Ընդամենը

Տնօր		
խոհանոցի և կահավեժի արժույթ	8448	67
ե, կահավեժ	7910	52
ճարտ. քանդակ. կենդանի արժույթ: և քար	350	55
և քանդակ	2279	60
և քանդակ արժույթ		9789
և քանդակ		13981
ընդամենը և քանդակ արժույթ		41245
		43292
		44

Երևանի քաղաքի քանդակարարական գործարանի և քանդակարանի արժույթի մասին հաշիվ

Երևանի քաղաքի քանդակարարական գործարանի և քանդակարանի արժույթի մասին հաշիվ



ანბარიში

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის
სამოვადოებისა» მიქმედებისა

1898 წელი

წელიწადი მეოცე

ტფილისა

1899

იწიკტა

ბიუტეტისთვის სანაწარმო-სამუშაო სახეობის
საბუღალტრო განყოფილება

Доволено цензурою. Тифлисъ, 13 Мая 1899 года.

აზიანი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის
საზოგადოების მოქმედებისა 1898 წელს

ბირველი ნაწილი

I

საზოგადოების წევრნი:

1898 წლის დასაწყისში საზოგადოებაში ითვლებოდა 507 წევრი: 8 საპატიო, 76 დამფუძნებელი და 423 ნამდვილი. წლის განმავლობაში დააკლდა 3 დამფუძნებელი და 4 ნამდვილი, ხოლო მიემატა 13 ნამდვილი. წლის ბოლოს საზოგადოებაში ითვლებოდა 513 წევრი: 8 საპატიო, 73 დამფუძნებელი და 432 ნამდვილი.

საპატიო წევრები:

- 1, ნიკოლოზ დავითის ძე, უკანათლებულელისი თავადი სამეგრელოსი, ამორჩეული 1885 წ.

- 2, გოგებაშვილი, იაკობ სვიმონის ძე . — 1890 წ.
 - 3, ერისთავი, თ. რაფიელ დავითის ძე . — 1892 წ.
 - 4, ჭავჭავაძისა, კნ. ოლგა თადეოზის ასუ-
ლი — 1894 წ.
 - 5, ქართველიშვილი, გიორგი დავითის ძე — 1894 წ.
 - 6, ალექსანდრე, გურია-სამეგრ. ეპისკო-
პოზი — 1896 წ.
 - 7, ჭავჭავაძე, თ. ილ. გრიგოლის ძე . — 1896 წ.
 - 8, წერეთელი, თ. აკაკი როსტომის ძე . — 1896 წ.
- დამფუძნებელი წევრები, რომელთაც ერთიანად აქვთ გა-
დახდალი სწევრო ფული (300 მან):
- 1, არღუთაშვილი, თ. ნიკოლოზ ვასილის ძე
 - 2, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, თავ. კონსტანტინე
ივანეს ძე
 - 3, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, თავ. ერეკლე კონ-
სტანტინეს ძე
 - 4, ბაგრატიონ-მუხრან-ბატონი, კნ. ბარბარე ერეკლეს
ასული
 - 5, ზუბალაშვილი, იოსებ გიორგის ძე
 - 6, მაჩაბელი, თ. ვასილ გიორგის ძე
 - 7, მუსხელიანი, დიმიტრი ივანეს ძე
 - 8, საგინაშვილისა, ელისაბედ გრიგოლის ასული
 - 9, ჩოლოყაშვილი, ალექსანდრე ზაალის ძე.

სამდვილი წევრნი, რომელთაც ერთიანად აქვთ გადახდა-
ლი სწევრო ფული (100 მ.)

- 1, ისარლოვი, მიხეილ პეტრეს ძე
- 2, უმიკაშვილი, პეტრე იოსების ძე
- 3, ყაზბეგი, ელისაბედ ნიკოლოზის ასული.

II

სახოგადობას გამგეობა

30 მაისამდე საზოგადოების გამგეობას შეად-
გენდნენ საზოგადოების და გამგეობის თავმჯდომარე
თ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე.

- | | |
|--------------------|------------------------|
| წევრნი | ეკ. რ. გაბაშვილისა |
| | ან. მ. წერეთლისა |
| | ი. ს. გოგებაშვილი |
| | ალ. მ. ტუონია |
| | გ. ნ. იოსელიანი. |
| | ე. ს. თაყაიშვილი |
| | ნ. ვ. მთვარელიშვილი |
| | ი. გ. რატიშვილი |
| | პ. რ. ყიფიანი |
| | ალ. ალ. გარსევანაშვილი |
| დ. გ. კარიჭაშვილი. | |

ხაზინადარი პ. რ. ყიფიანი, მდივანი დ. გ. კა-
რიჭაშვილი.

30 მისს მომხდარს წლიურს საზოგადო კრებაზე სამის წლის ვადის გასვლის გამო ახლად იქმნენ არჩეულნი საზოგადოების თავმჯდომარე და გამგეობის წევრნი: თავმჯდომარედ თ. ილია ჭავჭავაძე და წევრებად: ი. გოგებაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ზურაბიშვილი, ი. აბაშიძე, ნ. ცხვედაძე, ი. რატიშვილი, ალ. ჭყონია, ეკ. გაბაშვილისა, გრ. ყიფშიძე და გ. იოსელიანი.


5 თიბათეცს მომხდარს სხდომაზედ გამგეობის წევრთაგან არჩეულ იქმნენ თავმჯდომარის ამხანაგად ნ. ზ. ცხვედაძე, ხაზინადრად ი. ი. ზურაბიშვილი და მდივანად დ. გ. კარიჭაშვილი.

წლის განმავლობაში გამგეობასა ჰქონდა 39 სხდომა, განსახილველი იყო 376 საქმე, რომელთაგან 32 გადადებულ იქმნა შემდეგის სხდომისათვის, დანარჩენი 344 იმავე სხდომაზედ იყვნენ გადაწყვეტილნი, რომელნიც მოხსენდნენ.

თითო სხდომაზედ ორთა შუა რიცხვით მოღის 9—10 საქმე.

გამგეობის წევრთაგან სხდომებზე დაესწრნენ:

თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე	8-ჯერ
მის ამხანაგი ნ. ცხვედაძე	37 —
მდივანი დ. კარიჭაშვილი	39 —
წევრნი: ა. ჭყონია	28 —



ი. გოგებაშვილი	26 —
ე. თაყაიშვილი	25 —
ი. რატიშვილი	23 —
გ. იოსელიანი	20 —
ნ. მთავრელიშვილი	15 —
ი. ზურაბიშვილი	14 —
გრ. ყიფშიძე	13 —
ეკ. გაბაშვილისა	10 —
ან. წერეთლისა	9 —
ი. აბაშიძე	7 —

სულ ყველანი 274 —

თითო სხდომაზე მოღის 7 დასწრება.

სხდომაზედ თავმჯდომარეობდნენ თავმჯდომარე

თ. ილია ჭავჭავაძე	8-ჯერ
მისი ამხანაგი ნ. ზ. ცხვედაძე	29 —
წევრნი: ი. გოგებაშვილი	1 —
ალ. ჭყონია	1 —

სულ . 39 —

III

დამხმარებელნი წევრნი:

- 1, თ. კირილე ბეგანის ძე ლორთქიფანიძე ქუთაისში
- 2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე ქუთაისში,
- 3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი ქუთაისში,

- 4, თ. ბეეან დავითის ძე წერეთელი საჩხერეში,
- 5, დეკანოზი გრ. მაქარაშვილი ფოთში,
- 6, თ. ქიხოსრო გელოვანი ლენხუშში,
- 7, ანთიმოზ ჯუღელი სოხუმში,
- 8, სამსონ გიორგის ძე ყუიანი ძველ-სენაკში,
- 9, ბესარიონ ქილაძე ზუგდიდში,
- 10, ზაქარია იოელის ძე ნაკელიშვილი სიღნაღში,
- 11, თ. კოსტანტინე როსტომის ძე შალიკაშვილი ახალგორში,
- 12, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე ბორჯომში,
- 13, ქეთევან ლუარსაბის ასული თურულიისა გორში,
- 14, იოსებ გიორგის ძე სააკივი გორში.
- 15, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა ვანჯაში,
- 16, ლუკა ანტონის ძე ჯავახიშვილი თიანეთში.

—სანგარიშო წელს ელ. ალ. აბულაძისამ გამარ-
თა განჯაში საღამო საზოგადოების სასარგებლოდ და
მის შემოსაველი 380 შ. 90 კ. გამოუგზავნა გამგეო-
ბას. თომა შთავრიშვილმა შეგაროვა ქუთაისში 142 შ.
და გამოუგზავნა გამგეობას.

IV

საზოგადოების სკოლები

სანგარიშო წელს საზოგადოებას ჰქონდა იგი-
30 სკოლები, რაც წინა წელს: I) სკოლები, რომ-

ლებსაც თავის ხარჯით ინახავს. ესენი არიან კავკა-
ვისა, ბათუმისა და გომარეთის სკოლები.

2) სკოლები, რომლებზედაც საზოგადოება სწევს
ერთს წილს ხარჯისას, ხოლო მეორე წილს ეწევა იმ
სოფლის საზოგადოება, სადაც სკოლაა. ესენი არიან
ხელთუბნის, წინარების და თონეთის სკოლები.

3) სათავად აზნაურო სკოლები, რომლებიც ინა-
ხებიან ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ხარჯით.
ესენი არიან: ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა და
მის განყოფილება—სენაკის სათავად-აზნაურო სკო-
ლა. აი დაწვრილებით რა მდგომარეობაში იყვნენ
ეს სკოლები 1898 წელს:

ა) კავკასიის სკოლა

დაარსებულია 1880 წ. შესდგება ოთხის გან-
ყოფილებისაგან. წლის დამდეგს სკოლაში სწავლობ-
და 99 მოწაფე (65 ვ. 34 ქ.): I-ში 31 (21 ვ. 10 ქ.),
II-ში 32 (23 ვ. 9 ქ.), III-ში 24 (13 ვ. 11 ქ.),
IV-ში 12 (8 ვ. 4 ქ.). ეგზამენებამდის ამ რიჯებს
მოაკლდა 5 მოწაფე: I-ში 1 ვ. და 1 ქ., II-ში 2 ვ.
და IV-ში 1 ვ. ეგზამენების შემდეგ გადავიდნენ შემ-
დეგს. განყოფილებაში: პირველიდან მეორეში 22
(17 ვ. 5 ქ.), მეორეიდან მესამეში 18 (15 ვ. 3 ქ.),
მესამეიდან მეოთხეში 20 (11 ვ. 9 ქ.), დასარულა
სწავლა ყველამ (7 ვ. 4 ქ.).

სწავლა შესწყდა 1 იენის და დიწყა 1 ენკენისთვის. სწავლის დაწყების დროს გამოცხადდნენ I განყოფილებაში 62 (40 ვ. 22 ქ.), მე-II-ში 34 (23 ვ. 11 ქ.), III-ში 19 (15 ვ. 4 ქ.), IV-ში 18 (11 ვ. 7 ქ.). 1 იანვრამდე 1899 წ. დააკლდა 1 ვაჟი I განყოფილებას, ისე რომ ამ დღისთვის სკოლაში ირიცხებოდა სულ 132 მოწაფე (88 ვ. 44 ქ.).

მთელის 1898 წლის განმავლობაში ყველა მოწაფეები დაჰკლებიან 4628 ვაკეითილს. უმათერესი მიზეზი ვაკეითილების დაკლებისა იყო ავადმყოფობა (წითელით ავად ყოფილა 18 მოწაფე). ავადმყოფობის შემდეგ ვაკეითილების გაშვების მიზეზი ყოფილა თბილის ტანისამოსის და ფეხსაცმელის უქონლობა.

სკოლას განაგებს უსასყიდლოდ კავკაისის კლასიკურის გიმნაზიის მასწავლებელი ტ. ბ. კახიძე. ხოლო მასწავლებლად იყვნენ 1 დონობისთვისმდე ორნი: ლ. გ. ბოკეაძე და ა. ი. ხაბიშვილი. 1 დონობისთვისთვისგან დანიშნულ იქმნა მესამე მასწავლებლად მარიამ იენეს ასული გვარამაძე, ხოლო 1 ქრისტიანობისთვისთვისგან საღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნა ახლად განწესებული სკოლის ეკლესიის მღვდელი გ. ნათაძე, ასე რომ სკოლას ჰყავს ოთხი მასწავლებელი.

წლის განმავლობაში სკოლა გაუშინჯიათ სახალხო სკოლების დირექტორის და ინსპექტორის მ-ჯერ. ისინი საზოგადოდ ეპყაფილნი არიან სკოლისა, მხოლოდ უჩვენებენ ზოგიერთს წერილობას ნაკლს მოწაფეთა ყოფა-ქცევისა და რეველუტებში ნაწერების განწორების შესახებ.

სკოლასთან არსებობს 1895 წლითგან აგრეთვე ტ. კახიძის გამგეობის ქვეშ საკერაო სკოლა დიდებისათვის. საანგარიშო წელს ამ სკოლაში შრომობდნენ ქნი დ. ბაქრაძე და ბ-ნები გვარამაძე, კონკუხიძე, პ. გოთუა, მლ. გ. ნათაძე და თვით გამგე ტ. კახიძე. საანგარიშო წელს სწავლობდა ამ სკოლაში 42 მოწაფე, სულ კი დაარსებითგან უსწავლიათ 125 სხვადასხვა მოწაფეს.

ამ წელიწადში შესრულდა როგორც სკოლისთვის, ისე თვით მთელის კავკაისის ქართველობისათვის დიდად შესაშნევი და სასარგებლო საქმე. სკოლის შენაშაშევე დაარსებულ იქმნა ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა არის მოწაფეთა და მათ შშობელთა სამშობლო და ვასაგებს ენაზედ. ეს კეთილი საქმე მოიყენა სისრულეში სკოლის საშრუნველო კომიტეტმა, რომელმაც თავისით გამოძებნა ამ საქმისთვის საჭირო ღონისძიება. ამას გარდა თვით სკოლის ბინა გაფართოებულ იქმნა; წინანდელის ორის საკლასო ოთახის მაგიერ, დღეს სამი საკლასო ოთახია.

კავკაზის სკოლაზე დახარჯულია: მასწავლებლების ჯამაგირი 956 მან. 67 კ., შემწეობა მასწავლებელს ა. ხახიშვილს 50 მ., სკოლის მსახურის ჯამაგირი 180 მ., ვაიბობა და განათება 159 მ. 56 კ., წყალი 14 მ. 65 კ., სახელმძღვანელოები 166 მან. 38 კ., სკამები და მათი შეკეთება 60 მ., მღ. გ. ნათაძის მოსაწყობი 100 მ., სესხად საეკლესიო კომიტეტს 50 მ., სხვა-და-სხვა 133 მ. 32 კ. და სკოლის სადგომის გაფართოებისა და ეკლესიის შენობისთვის 8516 მ. 36 კ. სულ 10374 მ. 67 კ.

ამ ხარჯითგან გამგეობისგან გასტუმრებულია 251 მ. დანარჩენი 10123 მ. 39 კ. სკოლის კომიტეტისა.

კომიტეტს ჰქონდა 1 იან. 1898 წ. 359 მ. 99 კ. ამ წელს მიუღია საწევრო 467 მ., დ. ზ. სარაჯიშვილისაგან 500 მან., საღამოებისა და პაზრითგან 1311 მ. 22 კ., ვალი 50 მ., სხვა-და-სხვა 151 მან. 81 კაპ. და შემოწირულობა 7350 მან. 77., სულ 9830 მან. 80 კაპ. ნაშთით სულ კომიტეტს ჰქონია 10190 მ. 79 კ. და დარჩენია 1 იან. 1899 წ. 67 მ. 50 კაპ.

აქ გამგეობას თავის მოვალეობად მიაჩნია მიუქციოს საზოგადოების წევრთა კრების უზრუნველება იმ დიდს და დაუეწიყარს ღვაწლზე, რომელიც დასდო კავკაზის სკოლის სამზრუნველომ, როგორც ამ ქა-

ლაქის ქართველობას, ისე ჩვენს საზოგადოებას. ჯერ იყო და თავის მუყაითობით და მზნეობით აუშენა ჩვენს სკოლას მშენებელი სხელი ისე, რომ ჩვენს საზოგადოებას თითქმის არაფერი დახარჯია-რა. სამზრუნველომ ადგილობრივ მოიპოვა ყოველივე ღონისძიება ამ საქმისათვის. მაგრამ კავკაზის სკოლის მოწაფეთ ერთი დიდი რამ აკლდათ. ისინი, მართალია, წიგნსა სწავლობდნენ სკოლაში და ავითარებდნენ თავიანთ განზრახვას, მაგრამ მოკლებულნი კი იყვნენ საღვთო სიტყვის სმენას ეკლესიაში თავიანთ სამშობლო და გასაგებს ენაზე. სამზრუნველომ დაინახა, რომ დიდად საჭირო იყო სკოლასთან ქართულის ეკლესიის დაარსება ქართულის კრებულით, რომელსაც უნდა ქართულადვე ეწირნა. ეს სანატრელი იყო არამც თუ სკოლის მოსწავლეებისათვის, არამედ თვით მათ მშობლებისათვის, რომელთაც შარტო სამშობლო ენაზე შეეძლოთ შეგნებით მოსმენა საღვთო სიტყვისა და ვალობისა. სამზრუნველომ გადაწყვიტა სკოლასთან ეკლესიის დაარსება და კიდევ სისრულეში მოიყვანა თავის გადაწყვეტილება. ამასთან სამზრუნველომ თუ დაუბრკოლებლად დაამთავრა ეს საქმე, ამის მიზეზი არის ფრიალ გამბრძნობილი და ქველი ეპისკოპოზი კავკაზისა ყოველად უსამღვდელოესი ვლადიმერი. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს დიდად პატრიცეული მწყემსმთავარი მამობრივის თანა-

გრანობით მიეცება ამ წადღის და თავის მხრით ყოველივე შემწეობა აღმოაჩინა უწმინდესის სინოდის წინაშე მის განხორციელებას, როგორც იმით, რომ ნებართვა გამოსთხოვა, ისე იმით, რომ ნიეთიერი დახმარება დაანიშნინა ეკლესიის შენობის აგებისათვის. ქეშარიტად ჩვენ ყოველნი უნდა გულისათადი მადლობელნი ვიყვნეთ ყოვლად უსამღვდელოესის ვლადიმერისა.

ბ) ბათუმის სკოლა

დაარსებულია 1881 წ. 1898 წლის დასაწყისში სკოლა შესდგებოდა ოთხი განყოფილებისაგან, რომლებშიც ირიცხებოდა 101 მოსწავლე ვაჟი: I განყოფილებაში 47, II-ში 30, III-ში 17 და IV-ში 7. ეგზემენებამდე I განყოფილებას მოემატა 16 მოწაფე ვაჟი და დააკლდა 8, II განყოფილებას მოემატა 2 და დააკლდა 8, III განყ. დააკლდა 2, IV განყოფ. დააკლდა 1. სულ საეგზემენოდ სკოლაში იყო 100 ვაჟი. სწავლა შესწყდა 12 ივნისს 1898 წ.

I განყოფილებითკან გადავიდა II-ში 38 მოწაფე; II გან. III-ში 23; III გან. IV-ში 9; IV განყ. სწავლა დაასრულა ექვსმა, რომელთაგან ბათუმის გიმნაზიის II კლასში შევიდა 1, სამოქალაქო სასწავლებლის III კლასში 3, ხოლო 2 კერძო საქმევში

ჩაღდა. ბათუმის გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში შევიდა სკოლის III განყოფილებაში გადაცენილთაგან 2.

1898/99 სასწავლო წლის დასაწყისში სწავლა დაიწყო 3 სექტემბერს. I განყოფილებაში გამოცხადდა ძველი 11 მოწაფე, ახალი შემოვიდა 34, სულ 45; II განყ. გამოცხადდა ძველი 38 მოწაფე, ახალი შემოვიდა 12, სულ 50. III განყ. გამოცხადდა ძველი 23 მოწაფე, ახალი შემოვიდა 1, სულ 24. IV განყ. გამოცხადდა ძველი 8 მოწაფე, ახალი შემოვიდა 1, სულ 9.

ოთხსაფე განყოფილებაში სასწავლო წლის დასაწყისში იყო 128 მოსწავლე ვაჟი.

1899 წლის იანვრამდე მოემატა: I განყოფილებას 30 მოწაფე, დააკლდა 8. II განყ. მოემატა 6, დააკლდა 1. III განყ. მოემატა 2, დააკლდა 3. IV განყ. მოემატა 1. სულ 1899 წლის დასაწყისში სასწავლებელში იყო 155 ვაჟი: I განყ. 67, II გან. 55, III განყოფ. 10 და IV 10. ამაში ქრისტიანი (მართლმადიდებელი და კათოლიკე) 118, მაჰმადიანი 29, ებრაელი 3, სომეხ-გრიგორიანის სჯულისა 5.

გაშვებულის გაკვეთილების რიცხვი შთელის სასწავლო წლის განმავლობაში: მშობელთა უყურადღებობით 1940, ციხებით 1655 გაკვეთილი, წითელათი 1607, სხვა-და-სხვა ავადმყოფობით (მუცლის

ტკივილით, ყელის, ფეხის და სხვა ტკივილით) 1007, ოჯახის ვარემოებით 251, ყბა-ყურათი 184, ფოლტების ანთებით 77, შეუწყნარებელის მიზეზით (ბაი-რამის უშემეგების გამო და ავიდარისა) 399, ზარმაკობით 68 და უცნობის მიზეზების გამო 282, სულ მთელს წლის განმავლობაში მოწაფეები დაჰკლებიან 7479 ვაკეთილს.

სკოლაში ოთხი მუღმივი მასწავლებელია: ორი საღეთო სჯულისა—მართლმადიდებლისა მღ. ს. თოთიბაძე, რომელიც ექვსი წელიწადია სკოლას უსას-ყიდლოდ ემსახურება და მაჰმადის სჯულისა ხოჯა-ალი მახაჰკაძე. საერო საგნების მასწავლებელიც ორია: ი. რამიშვილი და ი. გოგოლაშვილი, რომელიც 1 ენ-კენისთვითგან იქ გადაყვანილ იქმნა სენაკითგან ნა-ცვლად 3. წულუკიძისა. ვალობის სწავლებაში სკო-ლის მასწავლებლებს შველის ადგილობრივი სამრეე-ლო სკოლის მასწავლებელი დ. ნ. შილაკაძე.

სანაგარიშო წელს სკოლა მთავრობის მხრით დაუთვალეირებია ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს ერთ-ხელ და სახალხო სკოლათა ინსპექტორს ბ-ნს ნოვო-სპასხკის ორჯერ. როგორც ბ-ნი გუბერნატორი, რომელიც დასწრებია ვაკეთილზედ, ისე სკოლათა ინ-სპექტორი კვაყოფილნი დარჩენილან მოწაფეთა წარ-მატებით.

გამგეობის მხრით სკოლა დათვალეირებულ იქმნა გამგეობის წევრის ბ-ნის ი. გოგებაშვილის მიერ, რომელსაც ბათუმის სკოლა შშენიერს მდგომარეობაში უნახავს. მის სიტყვით, „ბათუმის სკოლა წარმოად-გენს ამ ქაშად ნამდვილს პედაგოგიურს სასწავლე-ბელს, კეშმარიტს ლაშპარს განათლებისას, რომელიც ქართველთა გაძლიერებას ამ მხარეში მეტად დაეხმარება“.

როგორც მოვსენებათ საზოგადოების წევრთ, კარგა ხანია, რაც აშენდა სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თაონობით და ვარჯით საკუთარი შე-ნობა სკოლისთვის და მასთან უფროსის მასწავლე-ბის ბინა. სამზრუნველომ, თანახმად სკოლის რევი-ზორად მყოფის გამგეობის წევრის ი. გოგებაშვილის აზრისა, საჭიროდ დაინახა ამ წელს, რომ აეშენებინა ბინა სკოლის ეზოში მეორე მასწავლებლისათვი-საც, რაიცა კიდევ შესრულა გამგეობის დაუხმარებ-ლად. სამზრუნველო კომიტეტმა ამითი ვაათაეა თა-ვისი დიდი ღვაწლი სკოლისთვის საკუთარის შენო-ბის აგებისა. კომიტეტმა ცალკე წიგნადაც დაბეჭდა ანგარიში იმისი, თუ 1893 წლითგან რა შემოსავა-ლი ჰქონია და რა დაუბარჯია, როგორც სკოლის შესანახად, ისე სკოლის შენობის აშენებაზე, 1 იან. 1898 წ. კომიტეტზე ითვლებოდა გამგეობისაგან მი-ცემულის ფულითგან—3200 მანეთითგან—მხოლოდ

722 მ. 76 კ. (დანარჩენის ჯამის 2477 მ. 24 კ. ანგარიში კომიტეტს წინა წლებში ჰქონდა წარმოდგენილი, ასე რომ წრევანდელს საზოგადოების დაეთარში შეტანილ იქნა ანგარიშში ნაჩვენები მთელი ხარჯი ამ ჯამის გამოკლებით). სკოლის კომიტეტს ამ უკანასკნელის ხუთის წლის განმავლობაში შემოსულია: შემოწირულობა 6989 მ. 78 კ., ლოტერიის, ალღეგრის, საღამოების და კონცერტის გამართვით 8614 მან. 50 კ., ვალი აულია 3603 მან. 40., სხვაფრივ 47 მან., სულ 19,254 მ. 68 კ. სულ ნაშთით ჰქონია კომიტეტს 19,977 მ. 44 კ.

დაუხარჯია: სკოლის შენობაზედ 15,449 მან. 17 კ., სკოლის შენახვაზე ხუთის წლის განმავლობაში 2302 მან. 16 კ., ვალი გადაუღია 2040 მან. 02 კ., სხვა წვრილმანი 186 მ. 09 კ., სულ 19,977 მ. 44 კაბ.

საანგარიშო წელს გამგეობას აქვს დახარჯული თავის შერთი ამ სკოლაზედ 7 თვის ჯამაგირი სამის მასწავლებლისა (თვეში ერთს 50 მ., მეორეს 40 მ., მესამეს 25 მ.) და მსახურისა (თვეში 10 მ.) 875 მ. და წიგნები 12 მ.; სულ 887 მ. ამიერიდ გამგეობისა და სკოლის სამზრუნველოს ხარჯი ერთად უდრის 20,814 მ. 44 კ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა სიამოვნებით აღნიშნავს იმ დიდს შრომას,

რომელიც ბათუმის სკოლის სამზრუნველომ იკისრა და საანგარიშო წელს დაასრულა. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ხუთის წლის განმავლობაში მან შეკრიბა თავის მუყაითობით და მხნეობით 20,000 მ. და ააშენა მშვენიერი სასკოლო სახლი ორის მასწავლებლის სადგომებით. ვინც იცის საზოგადოდ ჩვენი სიღარიბე და თან უხალისობა საზოგადო საქმისადმი, ის ნამდვილს ღვაწლად ჩასთვლის ამ საქმის შესრულებას. სამზრუნველომ სკოლის შენობის აგებით შეურყვევლ ჰყო ჩვენი ბათუმის სკოლა, რომელიც ერთს ღროს ისეთს გაჭირებულს მდგომარეობაში იყო, რომ საზოგადოება აპირებდა მის დახურვას. ახლა მისი მნიშვნელობა შესამჩნევია, მისი ნაყოფი ძვირფასია, მომავალიც უზრუნველყოფილია სულ იმ სამზრუნველო კომიტეტის მეოხებით, რომელმაც, რასაკვირველია, ადგილობრივის და მთლად მთელის ჰართველობის დახმარებით ააგო სკოლის შენობა.

გამგეობა სწორედ რომ მადლობის ღირსად სთვლის სამზრუნველოს ამ ღვაწლისათვის.

კ) თონეთის სკოლა

დაარსებულია 1883 წ. 1898 წ. შესდგებოდა 3 განყოფილებისაგან. წლის დასაწყისში სკოლაში ითვლებოდა 51 მოსწავლე: I განყოფილებაში 32

(24 ქ. 8 ვ.), II განყ. 13 (8 ვ. 5 ქ.), III განყ. 6 (3 ვ. 3 ქ.). სწავლა ამ წლის პირველს ნახევარში რიგიანად არ სწარმოებდა ერთის მხრით იმის მიზეზით, რომ ჯერ მასწავლებელს შინაურის გარემოების გამო რამოდენსამე ხანს (იანვარში და თებერვალში) არ უსწავლებია უმწიფელებისათვის, შემდეგ თვით მოსწავლეებს მიუწებებიათ თავი სწავლისთვის და თუ უვლიათ სკოლაში ურიგოდ და დრო-გამოშვებით. მასწავლებელს შეუწყვეტია სწავლა მისის დამდგს. ეგზამენებზე დასწრებია სულ 18 უმაწილი: I განყოფილებისა 12 (8 ქ. 4 ვ.), II გან. 4 ვ., III გან. 2 (1 ქ. 1 ვ.). მასწავლებელს გადაუყვანია შემდეგს განყოფილებაში—პირველითან მეორეში 12 (10 ქ. 2 ვ.), მეორითან მესამეში 6 (1 ქ. 5 ვ.), მესამითან მეოთხეში 4 (2 ვ. 2 ქ.).

1888/89 წლის დასაწყისს სწავლა დაწყებულია ენკენისთვის დამდგს. ლენინობისთვის და გიორგობისთვის განმავლობაში სხვა-და-სხვა დროს შესულა I განყ. 53 მოსწავლე (19 ვ. 34 ქ.), II გან. ძველთაგან გამოცხადებულია კიდევ 13 (3 ვ. 10 ქ.) და III განყოფ. ძველთაგან გამოცხადებულია კიდევ 13 (9 ვ. 4 ქ.). რადგანაც ზოგიერთს მოწაფეებს რიგიანად არ უვლიათ ლენინობისთვის და გიორგობისთვის და შემდეგ შიდა არ გამოცხადებულან, ამისათვის მასწავლებელს დაუთხოვნია I განყოფილებით-

13133
70
4172

გან 20 (14 ქ. 6 ვ.), მეორითან 3 ვ., მესამითან 1 ქალი, სულ 24. I იანვრისათვის 1899 წ. სკოლაში დარჩენილა 55 მოწაფე. I განყოფილებაში 33 (13 ქ. 20 ვ.), II-ში 10 (3 ვ. 7 ქ.), III განყოფილებაში 12 (9 ვ. 3 ქ.).

საზოგადოდ 1898 წლის მეორე ნახევარშიაც რიგიანად არ უვლიათ სკოლაში მოსწავლეებს და ძალიან ბევრს ვაკვეთილებს დაკლებიან. მიზეზი ამისი მომეტებულად მშობლების დაუდევრობა ყოფილა.

მთავრობის მხრით სკოლა გაუსინჯია სახალხო სკოლათა ინსპექტორის ბ-ნს პავლოვს, რომელსაც ძალიან სუსტად უცენია მოსწავლეთა ცოდნა, მეტად რე რუსულს ენაში. ასეთისავე აზრისაა გამგეობის მხრით სკოლის დასათვალისწინებლად მყოფი გამგეობის წევრი გრ. ყიფშიძე, რომელმაც დათვალა სკოლა 10 თიბათვის და გამოსცადა მოსწავლენი, რიცხვით 18. ბ-ნი გრ. ყიფშიძე აღნიშნავს რა საზოგადოდ სისუსტეს მოსწავლეთა ცოდნაში, მეტად რე რუსულში, ხსნის მით, რომ მოსწავლეებს არ უვლიათ რიგიანად სკოლაში, რადგან ერთის მხრით ჩუ-მის სიმშობის გამო სოფლელები აქეთ-იქით წასულ-წამოსულან სარჩოს საშოვრად და ოჯახში მორჩილები საქიროდ გამბდარან, მეორედ თვით მასწავლებელიც მომცდარა თავის კერძო საქმისა გამო მთელს ორს თვემდე.

მასწავლებლად ამ წელს I ენკენისთემზე იყო წინანდელი მასწავლებელი კნ. თამარ ჯორჯაძე და, რადგან მან თავი დაანება სამსახურს, მის მაგიერ I ენკენისთეთვან გამგეობამ გადაიყენა სენაკის სკოლის მასწავლებელი ლავრენტი ავღამე.

ამ სკოლაზე გამგეობამ დახარჯა: 8 თვის ჯამგირი მასწავლებლის კნ. თ. ჯორჯაძისა 240 მან., 4 თვის ჯამგირი მასწავლებლის ლ. ავღამისა 160 მ., საგზაო მისივე 50 მ., წიგნები და სასწავლო ნივთები 67 მან. 56 კ. და საგზაო რევიზორისა 12 მან., სულ 529 მან. 56 კ. ამ ფულითვან საზოგადოების ხარჯია 229 მ. 56 კ., ხოლო 300 მან. ჩაწერილია თონეთის სოფლის საზოგადოებაზე, რომელიც მოვალეა იხადოს სკოლის შესანახად 300 მ. წელიწადში. წინა წლების ფულიდან დარჩენილი იყო ვაღუხდელი თონეთის სოფლის საზოგადოებაზე 1000 მ. და I იანვრისათვის 1899 წლისა შესდგა 1300 მ.

ამ სკოლის მზრუნველად არის კოსტანტინე იოსების ძე ყაფრიშვილი.

დ) წინაგუჩის სკოლა

დაარსებულია 1882 წ. 1898 წლის დასაწყისში სკოლა შესდგებოდა 3 განყოფილებისაგან და სულ ითვლებოდა 45 მოწაფე: I გან. 14 (3 ვ. 11 კ.),

II გან. 13 (7 ვ. 6 კ.) და III გან. 18 (3 ვ. 15 კ.). ეგზამენებამდე თავი დაანება სწავლას მერვე განყოფილებაში 2 ვ. და შესამეშაიკ 2 ვ. სწავლა შესწყდა საზღებულოდ 20-ს, რადგან მოსწავლეები აღარ დაიარებოდნენ სრულებით. თიბათვის 7 სკოლა დაათვალიერა გამგეობის მინდობილობით გამგეობის წევრმა ი. რატიშვილმა, რომელმაც კულს მდგომარეობაში ნახა სკოლა. რადგან სწავლა შეწყვეტილი იყო, საგანგებოდ გამოსაცდელად მოიწვია მასწავლებელმა მოწაფეები. შეიკრიბნენ მხოლოდ 17 მოწაფე. პირველის განყოფილებისა 5 ქალი, მეორისა 1 ქალი და 1 ვატი, მესამისა 10 ქალი. ბ-ნს რატიშვილს გამოუცდია ივინი და მათი ცოდნა ძალიან სუსტად უცენია ყველა საგნებში. ამ ვარემოებას რევიზორი ხსნის მით, რომ წლის განმავლობაში ურეგულ უვლიათ მოწაფეთ სკოლაში, ხშირად და ბლომად დაქლებიან ისინი გაკეთილებს და ამიტომ მასწავლებელსაც ვეფერი ვერაფერი უსწავლებია-რა. საქმის სარგებლობისათვის მასწავლებელი ამ სკოლისა ქალი ევ. რუსიშვილი გამგეობამ გადაიყენა გომარეთის სკოლის მასწავლებლად, ხოლო გომარეთის სკოლის მასწავლებელი თ. კველიშვილი მის ადგილას.

სწავლა შემოდგომაზედ ძალიან გვიან დაიწყო ახალის მასწავლებლის დანიშვნის შემდეგაც. გიორგობისთვეში გამოცხადდა ძლივს ხუთამდე მოსწავლე

ისინი ურიგოდ დაიარებოდნენ სკოლაში, და წლის გასულამდე მოსწავლეთა რიცხვი არ ასცილდა 7-სა. ამისთანა ცუდს მდგომარეობაში არ ყოფილა თავის დღეში ეს სკოლა, მერმე იმ დროს, როდესაც ამ სკოლისთვის აგებულ იქნა მშვენიერი საკუთარი ქვეითკრის შენობა. ორის წლის წინად გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგის ნ. ცხვედაძის თანხმობით დაწყებული სკოლის ახალი შენობა საკუთრად სკოლისთვის შეძენილს ადგილზედ, რომელიც ზომით თითქმის ერთის დღისაა, დასრულდა ამ წელს იმავე ნ. ცხვედაძის გარჯილობით. სკოლის შენობა შესდგება ერთის დღის ნათელიის საკლასო ოთახითგან, ორის მასწავლებლის სადგომის ოთახითგან თავის სამზარეულოთი და დერეფნითგან; წინ შენობას აქვს განიერი და გრძელი ბალკონი. შენობა დახურულია კრამიტით და შიგნითგან გალესილია გაჯით. სკოლას წინ კარგი ფართო ცარიელი ადგილი აქვს, სადაც უნდა გაშენდეს ბაღი და გაკეთდეს სხვა-დასხვანაირი მოწყობილება: საფუტკრე, საბარეშოუმი და სხვანი.

სკოლა ეკურთხა 22 გიორგობისთვის და კურთხევის ცერემონიაზედ დაესწრო გამგეობის წევრი ი. რატიშვილი. იმედი იყო, რომ როდესაც ძველი სკოლის უცარგისი შენობა შეიცვლება და ახალს, ყოველისფრით მოწყობილს და შესაფერის შენობაზე,

ხალხი უფრო თანაგრძნობით მოეკიდებოდა სკოლას და მოსწავლეებზე ბეჯითად დაიწყებდნენ სიარულს. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, აქ უთუოდ სხვა რამე მიზეზი უნდა ყოფილიყო, რაიცა გაამართლა შემდგემა. როდესაც წინარეხში ვომარეთითგან გადმოყვანილმა მასწავლებელმა დაინახა, რომ მოწაფეები არ ეკარებოდნენ სკოლას, სთხოვა გამგეობას, რომ გაეთავისუფლებინა სრულებით სამსახურიდან. გამგეობამ მის მაგიერ მოიწვია სხვა მასწავლებელი 1899 წლის დამდეგს. ამ მასწავლებლის მოსვლისთანავე მცირე ხანში სკოლაში დაიწყო სიარული 50-ზედ მეტმა მოსწავლემ.

ამ სკოლის მზარუნელებად არიან ი. ცხვედაძე და ს. შალაქაშვილი.

ვ) კომარეთის სკოლა

დაარსებულია 1897 წ. 1898 წლის 1 იანვრისათვის სკოლაში ირიცხებოდა 18 მოწაფე და იყო ერთი განყოფილება. სწავლა შესწყდა სახატულოდ მისის ნახევარში, დაწყებულს დროზე ადრე, მასწავლებლის შინაური გარემოების გამო. ამავე მიზეზით გამოკლა მისში არ ყოფილა, შემოდგომაზედ ძველ მოწაფეთაგან 13 გადაყვანილ იქნა მეორე განყოფილებაში. I განყოფილებაში კი გამოცხადდა ძველ-

თავან 3, ხოლო ახლად მოცხარა სხვა-და-სხვა დროს 36. I იანვრისათვის 1899 წ. სკოლაში ითვლებოდა 52 მოწაფე: I განყოფილებაში 39, II განყოფილებაში 13.

სოფ. გომარეთში მცხოვრებს მოწაფეებს უფლიათ სკოლაში რივიანად. უმეტესად დაჰკლებიან გაკვეთილებს ახლო-მახლო მდებარე სოფლებითგან მოსიარულე ბავშვები სიცოცხისა და თოვლ-ნამქერის გამო. I გან. ვაუშვით სულ 150 გაკვეთილი, II-ში 120. მეორე მიზეზი ბავშვებისგან გაკვეთილების გაშვებისა ყოფილა ავადმყოფობა. იშვიათად კი მშობლებს დაუტოვებიათ სახლში ბავშვი და არ ვაუგზანიათ სკოლაში რამე სამუშაოს გულისთვის, რაიცა ღირსია ყურადღებისა.

საღვთო სჯულს ასწავლის უსასყიდლოდ მღვდ. ზ. გულისაშვილი, დანარჩენის საგნების მასწავლებლად იყო I ენკენისთვემდე თ. კველიშვილი და, რადგან იგი გადაჯანდო იქნა წინარებს, მის შემდეგ გამწესებულ იქნა სამასწავლებლო ინსტიტუტში ნამყოფი მიხეილ კლიმაშვილი, ნაცვლად კნ. ეკ. რუსი-შვილისა, რომელმაც გომარეთში გადასვლა არ ინდომა.

ამ სკოლაზე გამგეობამ დაბარჯა: ჯამაგირი მასწავლებლისა 300 მან., მსახურისა 20 მ., დარაჯისა 10 მ., მასწავლებლის სახლის ქირა 20 მან., საგზო

მასწავლებლის კლიმაშვილის 20 მ., წიგნები და სასწავლო ნივთები 51 მ. 21 კ. და წვილიმანად ნახარჯი სკოლისთვის მასწავლებლისგან 6 მ., სულ 427 მ. 21 კაბ.

ვ) ხელთუხის სკოლა

დაარსებულია 1884 წ. 1898 წლის დასაწყისს შესდგებოდა ოთხის განყოფილებისგან. სწავლობდა სულ 32 მოწაფე: I გან. 15 (13 ვ. 2 ქ.), II გან. 11 (3 ვ. 8 ქ.), III გან. 4 (3 ვ. 1 ქ.) და IV გან. 2 (1 ვ. 1 ქ.). ეგზამენებამდე სკოლას დააკლდა 9 მოსწავლე: I გან. 2, II-ში 1, III-ში 4, პირველითგან გადაყენილ იქნა მეორეში 10, მეორითგან მესამეში 9, ხოლო მეოთხეში კურსი დაასრულა 2. ამნაირად 1898/99 სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში შეიქმნა სულ 3 განყოფილება, რადგან მესამე განყოფილებაში არავინ დარჩა, რომ გადასულიყო მეოთხეში. სწავლა დაიწყო ენკენისთვის 7-ს და გამოცხადდა 27 მოსწავლე. შემდეგ თანდათან ემატებოდა შემომსწავლეთა რიცხვი, ასე რომ I იანვრისათვის 1899 წლისა სკოლაში იყო 45 მოწაფე (26 ვ. და 19 ქ.): I განყოფილებაში 30 (20 ვ. 10 ქ.), II-ში 10 (4 ქ. 6 ვ.), III-ში 5 ქალი.

წელს საზოგადოდ კარგად უვლიათ სკოლაში, ეს არის მხოლოდ, რომ ძალიან გვიან გამოცხადებულან. თუ გამოუტოვებიათ გაკეთილები, მხოლოდ ავადმყოფობის გამო.

სკოლაში მასწავლებლად იყო თ. რაზიკაშვილი. ხელსაქმეს ასწავლიდა ქალი ტასია შავილხაშვილი.

გამგეობის მხრით სკოლა დაათვალიერა თიბათვეში გამგეობის წევრმა ი. რატიშვილმა. რევიზორს არც ეს სკოლა უნახავს კარგს მდგომარეობაში. მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებათა მოწაფეებს ცოდნა სუსტი გამოუჩნიათ. პროგრამა სასწავლო საგნებისა ან სრულად არ ჰქონიათ ვაფილილი და ან თუ გაუვლიათ, კარგად არ ჰქონიათ შეთვისებული. მხოლოდ რუსული ენა შედარებით სხვა საგნებთან უკეთესის წარმატებით უსწავლიათ. რევიზორი ამ მოვლენას ხსნის მასწავლებლის ავადმყოფობით. თურმე ციებ-ციხელება შესწევია მას და გამუდმებით ავადმყოფობს.

სკოლაზედ დახარჯა გამგეობამ თავის მხრით: წიგნები და სასწავლო ნივთები 54 მან., ხელსაქმის მასალა 10 მ., შემწეობა წინანდელს ხელსაქმის მასწავლებელს ილურიძის ქალს, რომელიც სულიერად დაავადმყოფდა, 6 მ. და საგზაო რევიზორს 7 მან., სულ 77 მან.

დანარჩენს ხარჯს სკოლისას სწევს თვით სოფლის საზოგადოება, რომელიც იხდის სკოლისთვის 560 მ. და შეაქვს ხაზინაში სახალხო სკოლათა დირექტორის განკარგულებაში. წვენის საზოგადოების ვალი ხელთუბნის სოფლის საზოგადოებაზედ დარჩენილია 1603 მ. 27 კ.

ამ სკოლის მზრუნველად არის ქ-ნი ანასტასია მიხეილის ასული წერეთლისა.

ზ) ქუთაისის სთავადაზნაურო სკოლა

1898 წლის დამდევს სასწავლებელი შესდგებოდა ოთხის განყოფილებისაგან და ოთხის პროგიმნაზიულის კლასებისაგან, რომლებშიაც სწავლობდა სულ 376 მოსწავლე. მათ შორის პროგიმნაზიულ კლასებში ირიცხებოდა 161: მე-IV პროგიმნ. კლასში 25, მე-III-ში 28, მე-II-ში 48, I-ში 60; განყოფილებებში სულ 215 მოსწავლე: მე-IV-ში 53, მე-III-ში 53, მე-II-ში 55, I-ში 54.

ეგზამენების დაწყებამდე სასწავლებელს დააკლდა სულ 7 მოსწავლე: I განყოფ. ერთი (გარდაიცვალა), მე-III-ში ერთი, I პროგიმნ. კლასში 2, მე-II-ში 2, მე-III-ში 1. ამგვარად ეგზამენებზე გამოცხადდა სულ 369 მოსწავლე.

I განყოფილებითგან გადავიდა მე-II-ში 47, მე-II-დან მე-III-ში 38, მე-III-დან მე-IV-ში 39, მე-IV-დან I პროკ. კლასში 37, I პროვიზ. კლასიდან გადავიდა მე-II-ში 39, მე-II-დან მე-III-ში 39, მე-III-დან მე-IV-ში 18, ოთხის პროვიზნაზიულის კლასის კურსი შეასრულა 22 მოსწავლემ, ხოლო შემდეგ განყოფილებებში და კლასებში გადავიდა 257 მოსწავლე.

1898/9 სასწავლო წლის დასაწყისს სწავლა დაიწყო 20 სექტემბერს. ძველთა მოსწავლეთაგან სასწავლებელში გამოცხადდა: I განყ. 5, მე-II-ში 61, მე-III-ში 49, მე-IV-ში 54, პირველ პროვიზნაზიულ კლასში 50, მე-II-ში 46, მე-III-ში 46, მე-IV-ში 20 მოსწავლე, სულ 331 მოსწავლე. ახლად მიღებული არიან: I განყ. 68, მეორე პარალელურ განყოფილებებში 42, მე-III-ში 7, მე-IV-ში 4, პირველ პროვიზნაზიულ კლასში 7, მე-III კლასში 2, სულ 130 მოსწავლე.

I იანვრამდე 1899 წ. სასწავლებელს დააკლდა: I გან. 8, მე-II-ში 4, II პარალ. გან. 2, მე-IV-ში 6, I პროვიზნაზიულ კლას. 3, მე-II-ში 1, მე-III-ში 3, მე-IV-ში 1, სულ 28 მოსწავლე.

ამ რიგად სასწავლებელში დარჩა 1 იანვრისათვის 1899 წლისა სულ 433 მოსწავლე, რომელნიც განაწილებულ არიან: I განყ. 65, მე-II-ში 57, მე-II

პარალ. განყოფილ. 40, მე-III-ში 56, მე-IV-ში 52, I პროვიზნ. კლასში 54, მე-II-ში 45, მე-III-ში 45, მე-IV-ში 19 მოსწავლე.

წლის განმავლობაში მოსწავლეები არ დასწრებიან სულ 15,284 გაკვეთილს, აქედამ ციებ-ცხლებსა გამო მოსწავლეებმა გაუშვეს 5,000 გაკვეთილი, წყლების ტკივილის და ფლარათის გამო 1175, ყელის ტკივილის და ყვავილის გამო 2,718, სხვადასხვა ავადმყოფობის გამო 2,673, მშობლების დაუდევრობის გამო 3,718, საშუალო რიცხვით თითო თითო მოსწავლემ გაუშვა 44 გაკვეთილი, რაიცა შეადგენს არანორმალურ მოვლენას. ამგვარივე ბედი სკოლას ეწვია 1892/3 წელს, როდესაც ორას ოცდაათი მოწაფე არ დაესწრო 14,627 გაკვეთილზედ (საშუალოთ 51).

უმთავრესი სწავლის დამაბრკოლებელი მიზეზი, როგორც წინადაც თქმულა, არის ერთის მხრით მოსწავლეთა სიღარიბე და მეორე მხრით მათი ავადმყოფობა (მოამეტებულად ციებ-ცხლებმა). ზოგიერთთა მშობელთ დაუდევრობაც აფერხებს სკოლის ნაყოფიერს მოქმედებას.

საანგარიშო წელს ირიცხებოდა სასწავლებელში სულ 20 მოსამსახურე პირი: ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანაშვილი, თოთხმეტი მასწავლებელი, ოთხი აღმზრდელი და ერთი ექიმი.

სკოლის მართველობამ მიაქცია ყურადღება ბავშვების გონებით განვითარებას: ამ მიზნით ღრავა-მოშვებით იმართებოდა ხოლმე კითხვები ბუნდოვანის სურათების დახმარებით. აგრეთვე უყურადღებოდ არ იყო დატოვებული ბავშვების ფიზიკური აღზრდაც; გიმნასტიკის და სამხედრო ფრონტის გარდა, ხანდახან, იმართებოდა ხოლმე ბავშვების საზოგადო სეირნობა და ბურთაობა ქალაქ გარედ.

საანგარიშო წელს სასწავლებელი გაშინჯა ქუთაისის გუბერნატორმა და ამავე გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა პ. ი. სავიჩმა.

სკოლას საზოგადოება ინახავს ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ხარჯით; მზრუნველობა და თვალყურის დაკვირა სკოლაზე ჩაბარებული აქვს გამგეობისგან ადგილობრივ კომიტეტს. თანახმად სკოლის მართვისათვის ახლად შემდგარის ინსტრუქციისა, ამ წელს განახლებულ იქმნა სამზრუნველო კომიტეტი. გამგეობამ ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც არ იწებეს კომიტეტის წევრად დარჩენა, აირჩია ახლები. კომიტეტის თავმჯდომარედ ბრძანდება დ. ნ. ბაქრაძე, წევრებად: დ. ა. ლორთქიფანიძე, კ. ბ. ლორთქიფანიძე, ა. მ. ერისთავი, კ. დ. ბაქრაძე, ი. ი. ოცხელი და ა. თ. ნანეთიშვილი. თანახმად ამ კომიტეტის აზრისა წარსულ წელში შემდგარის ინსტრუქციის ზო-

გიერთი მუხლები ხელახლად შეიკვილა სინე, როგორც სკოლის სიკეთე-მართვისათვის შეეფერებოდა:

სამზრუნველოს საანგარიშო წელს დაუბარჯავს სკოლაზე ბანკის ფული 19,940 შ., ხილორ იანვარში გამართულის ბალოთგან შემოსული 120 შ. მოუხმარინა ლარიბის მოსწავლეებისათვის ტანისამოსის შესაკერად.

სწავლის შედეგად სკოლის მოსწავლეების რაოდენობა შემცირდა 6) სენჯის სათავადაზნაურო სკოლა (ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის განყოფილება) დაარსებულთა 1884 წ. შესდგება ოთხის განყოფილებისაგან. 1898 წლის დამდეგს სასწავლებელში იყო 109 მოწაფე (100 ვ. 9 ქ.). I განყოფილებაში 23 (19 ვ. 4 ქ.), II განც. 30 (28 ვ. 2 ქ.), III გან. 37 (35 ვ. 2 ქ.) და IV გან. 19 (18 ვ. 1 ქ.) ვგზამენებამდე I განყოფილებისა და კიდევამდე ვაფი და მიემატა 2 ქალი, II განც. დააკლდა 1 ვაფი და მიემატა 1 ქალი, III განც. დააკლდა 4 ვაფი და 1 ქალი, IV განც. მიემატა 1 ვაფი ვგზამენების შემდეგ გადაყენილ იქმნენ მირეელითგან მეთრე ში 18, მეთრეთგან მესამე ში 25, მესამითგან მეთრე ში 18, მეთრეთში კურსი გაათავა 16. 80 წ. 8858 მოსწავლეთაგან 1898/9 წლის დამდეგს სკოლაში ითვლებოდა 126 მოწაფე: I განც. 40 (31 ვ. 9 ქ.), II განც. 30

(25 ვ. 5 ქ.), III განყ. 34 (31 ვ. 3 ქ.), IV განყ. 22 ვატი. 1 იანვრამდე 1899 წლის სკოლის დააკლდა 4 მოწაფე.

წლის განმავლობაში გაუტყდნით მოწაფეებს გაკვეთილები 1265 პირველს განყოფილებაში, 1278 მეორეში, 2527 მესამეში და 802 მეოთხეში, სულ 5872

სკოლის ინსპექტორად არის ს. გ. ყიფიანი. საანგარიშო წლის ენკენისათვის განსჯის სარგებლობისათვის სამი მასწავლებელი გადაყვანილ იქნა სხვა სასწავლებლებში, სახელდობრ: ი. გოგოლაშვილი ბათუმის სკოლაში, ი. ნიკოლაიშვილი ქუთაისის სათავად-აზნაურთა სკოლაში და ლ. ავღაძე თანეთის სკოლაში. ხოლო მათ ნაცულად განწესებულ იქნენ ბათუმის სკოლის მასწავლებელი პ. წულუკიძე და ტფილისის სათავად-აზნაურთა სკოლის აღმზრდელნი ი. გომელაური და გ. წულუკიძე. მეოთხე მასწავლებლად იყო მ. შარაშიძე. სკოლას ჰყავს აგრეთვე ერთი აღმზრდელი.

საზოგადოებო ან სასწავლებელსა ქუთაისის სათავად-აზნაურთა ბანკის ბარჯით ინახავს და მზრუნველობას ქუთაისის სათავად-აზნაურთა სკოლის სამზრუნველო უწევს. საანგარიშო წელს სკოლაზე დახარჯულა 6799 მ. 93 კ.

სკოლასთან არსებობს ფერმა, სადაც დახელოვნებულის მებაღის ხელმძღვანელობით მოჰყავთ ბოს-

ტანი და აინენ ხებილებს. აქვე მისდევნ აბრეშუმის ქვის მოყვანას.

V

სახალხო პაბლიოთეკა

საანგარიშო წელსაც საზოგადოებას ჰქონდა 5 სახალხო ბიბლიოთეკა: 1) ტფილისის პირველი, 2) ტფილისის მეორე, 3) ქუთაისისა, დაარსებული გაბრიელ ეპისკოპოსის სახლიდან, 4) ახალციხისა და 5) უღისა (ახალციხის მახარაში, სოფ. უღესში).

ა) ტფილისის პირველი სახალხო პაბლიოთეკა

დაარსებულია 1892 წ. 1 იან. 1898 წ. ამ ბიბლიოთეკაში ითვლებოდა 1656 კ. წიგნი. წლის განმავლობაში მიემატა 57 ცალი და შესდგა 1 იან. 1899 წ. 1713 კ.

1898 წელში ბიბლიოთეკას ჰყავდა 395 ხელისმომწერი, რომელთაც გაუტანით სახლში საკითხავად 1844-ჯერ წიგნი. დღიური მკითხველები იყვნენ 5282, ანუ ორთაშუა რიცხვით დღეში 8 კაცი. მკითხველნი იყვნენ წერილი მოხელეები, მოზარდნი, ხელოსნები და მოვაჭრეები. საკითხავად გაუტანით მოეტებულად ბელეტრისტული და საყმაწვილო წიგნები.

სანაგარიშო წელს მიბლიოთეკაზე დაბარჯულია:
 1, ჯამაგირი მიბლიოთეკარისა 205 მ., ჭეშახტურის
 სა 19 მ. 20 კ., 3, სახლის ქირა 275 მ., 4, თურ-
 ნალ-გაზეთებში 52 მან., 5, წიგნები და მათი დასა-
 კახში 32 მან. 93 კ. და 6, სხვა-დასხვა წერილობანი
 9 მ. 58 კ., სულ 593 მ. 71 კ.

ამ მიბლიოთეკის გამგებლობა მინდობილი აქვს
 ქ. ნ. ანასტასია მიხეილის ასულს წერეთლისას, რომ
 შეღისაჲ 1 იან. 1898 წ. ჰქონდა ნაშთი წინა წლთ-
 ბისა 39 მ. 96 კ., ხოლო წლის განმავლობაში მიუ-
 ლია: გამგებობისგან 180 მ., მკითხველთაგან 169 მან.
 50 კ., ტფილისის ქალაქის საბჭოსგან 100 მან., სა-
 ლამოთგან 100 მ. და შემოწირულობა 12 მ. 22 კ.,
 ნაშთიანად გამგეს ამ წელს ჰქონია 601 მან. 68 კ.
 შემოსხენებულის ხარჯითგან მას გაუსტუმრებია თა-
 ურს მხრიბ 52 მ. 38 მან. 88 კ. და დარჩენილია
 1899 წ. 7 მ. 80 კ. აღნიშნულ წელს

მითუღმ ინჟინერ იანაბერევე ცხოველნობ იბრწინო
 შეშე დაარსებულია 1894 წელს სანაგარიშო წლის
 დასაწყისში მიბლიოთეკის ჰქონია 975 კალი წიგნი
 წლის განმავლობაში მიემატა 292 კ. 1 იან. 1899 წ.
 შესდგა 1267 კ. იანაბერევე ინჟინერე იუ ინჟინერე
 ვიწუ 1898 წლის განმავლობაში მიბლიოთეკის ჰყავდა
 და 194 თეიური მკითხველი, რომელთაც გაურტა

ნათა წიგნები 198 მ. ჯერ სამკითხველოში შესულან
 4200 ჯერ ანდ. აღდგეში 13-ჯერ.

მკითხველნი ყოფილან მუშებში, ხელისნები და
 ფაქტები და წაუკითხნათ მომეტებულიად ბელეტრის-
 ტული ნაწერები.

მიბლიოთეკაზე დაბარჯულია: ჯამაგირი მიბლიო-
 თეკარისა 144 მან., სახლის ქირა 101 მან., წიგნები
 22 მ. 48 კ., განცხადებისა და დოკუმენტის დასაბე-
 დო 9 მ. 80 კ., მიბლიოთეკის გადატანა და მოწყო-
 ბა 11 მ. 88 კ. და სხვა წერილობანი ხარჯი 11 მან.
 31 კ. სულ 299 მ. 94 კ. აღნიშნულ წელს
 ამ მიბლიოთეკის გამგებლობა აბარია ქ. ნ. ანას-
 ტასია წერეთლისას 1 იან. 1898 წ. მას ჰქონდა
 მიბლიოთეკის ფული 40 მ. და მიუღია წლის გან-
 მავლობაში: გამგებობისგან 180 მან., მკითხველთაგან
 38 მ. 88 კ., წარმოადგენთაგან 45 მ. 90 კ. და შე-
 მოწირულობა 3 მ. 38 კ., სულ 268 მ. 16 კ. ნაშ-
 თიანად მას ჰქონია ხელთ 308 მ. 16 კ. შემოსხენე-
 ბულის ხარჯითგან გაუსტუმრებია მას 277 მ. 49 კ.
 დარჩენია 1 იან. 1899 წ. 30 მ. 67 კ. აღნიშნულ წელს

მითუღმ ინჟინერ იანაბერევე ცხოველნობ იბრწინო
 შეშე დაარსებულია 1896 წ. ვასულს განსვენებულის
 ყოვლად სამღვდელთა ვაბრიელ ეპისკოპოსის სახსოვ-

რად. 1898 წ. 1 იანვრისთვის ბიბლიოთეკას ჰქონდა 962 ტ. ქართული და 407 ტ. რუსული წიგნი. წლის განმავლობაში მიემატა 277 ქართული და 573 ცალი რუსული და შესდგა 1239 ტ. ქართული და 980 ტ. რუსული.

წლის განმავლობაში ბიბლიოთეკას ჰყოლია 200 ხელისმომწერი, ხალხო დღიურად დაიარებოდა სამკითხველოში წიგნების საკითხავად 40—120 კაცამდე.

ბიბლიოთეკის გამგებლობა ახარია ქნს ელენე კოსტანტინეს ასულს ჯინოშვილისას, რომელიც ადგილობრივის წრის დახმარებით ზრუნავს მის ღონისძიებისათვის. ბიბლიოთეკის გამგეს საანგარიშო წელს შემოსავალი ჰქონია: გამგეობისგან გავზავნილი 100 მ. ბაჭოთგან 75 მ., ოპერითგან 545 მან., შემოწირულობა სხვა-და-სხვა პირთაგან 442 მ. და ხელისმომწერთაგან 56 მ. 24 კ., სულ 1,218 მ. 24 კ. 1 იანვრისათვის ჰქონია დარჩენილი 136 მ. 24 კ., სულ გამგეს ხელთ ყოფილა 1,354 მ. 48 კ., დაუხარჯია: სახლის ქირა 240 მან., მოსამსახურეთა ჯამაგირი 271 მ., წიგნების და თურნალ-გაზეთების ფასი 137 მ. 50 კ., ასაკინძი 35 მ., გათბობა და განათება 81 მ. 70 კ., კატალოგის და ანგარიშის დასაბეჭდი 62 მ., ოპერების ნოტების ფასი 52 მ. და წერილობანი ხარჯი 28 მ., სულ 907 მ. 20 კ. გამგეს დარჩენია 1 იანვრისთვის 1899 წლისა 447 მ. 28 კ.

დ) ახალციხის სხალხო ბიბლიოთეკა

დაარსებულია 1895 წ. 1 იანვრისთვის 1898 წლის ბიბლიოთეკას ჰქონდა წიგნები ქართული 700 ტ., რუსული 255 ტ., სულ 955 ტ. წლის განმავლობაში მიემატა ქართული 152 ცალი, რუსული 36 ტ. და შესდგა წლის ბოლოს 852 ტ. ქართული და 291 ტ. რუსული, სულ 1,143 ტ.

ბიბლიოთეკას ჰყავდა: წლიური ხელისმომწერი 42, ნახევარ-წლიური 16, თვიური 93, სულ 151. ამათგან ეროვნებით იყვნენ 132 ქართველი, 11 რუსი, 6 სომეხი, 1 ბერძენი და 1 თათარი. სარწმუნოებით 66 მართლმადიდებელი, 79 კათოლიკე, 5 გრიგორიანი, 1 მაჰმადიანი. ხელისმომწერთა შორის იყო 22 მანდილოსანი.

წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სამკითხველოში შესულა დღიური მკითხველი 4,867-ჯერ, საშუალო რიცხვით დღეში 13—14. მკითხველნი განიჩიოდნენ ეროვნებით 4,446-ჯერ ქართველი, 141-ჯერ რუსი, 280-ჯერ სომეხი. სარწმუნოებით 2,236-ჯერ მართლმადიდებელი, 2,357-ჯერ კათოლიკე, 274-ჯერ გრიგორიანი და საქმიანობით 1045-ჯერ მოზარდნი, 514-ჯერ მასწავლებლნი, 658-ჯერ მოხელენი, 345-ჯერ მემამულენი, 157-ჯერ ვაჭარნი,

96-ჯერ ნოქარნი, 343-ჯერ ჯარის-კაცი, 277-ჯერ სასულიერონი და 1,432-ჯერ უსაქმოდ მყოფი. სხვადასხვა პირებით რომ ვიანგარიშობთ, სულ მკითხველნი იყვნენ 190.

ბიბლიოთეკითგან გაუტანიათ წიგნები 2,381-ჯერ 178 სხვადასხვა პირთ, რომლებიც ასე განირჩევიან: ეროვნებით 165 ქართველი, 6 რუსი, 2 სომეხი. სარწმუნოებით 72 მართლმადიდებელი, 99 კათოლიკე, 2 გრიგორიანი. ხელობის მიხედვით მასწავლებელი 12, მოზარდა 110, მოხელე 19, შემამულე 5, ვაჟარი 5, ნოქარი 4, ხელოსანი 3, ჯარის-კაცი 5 და უსაქმოდ მყოფი 10.

ქართული წიგნები და გაზეთები გაიტანეს 1,784-ჯერ, რუსული 847-ჯერ. ყველაზე მეტად გაუტანიათ სახალხო და საკმაწვილო წიგნები, შემდეგ მოთხრობები და ლექსები. ავტორთა შორის ყველაზე მეტი გაუტანიათ ა. ყაზბეგის, შემდეგ ი. ჭავჭავაძის, ვ. ნინოშვილის და აკაკი წერეთლის თხზულებანი.

ბიბლიოთეკის გამგებლობა მინდობილი აქვს კონსტანტია სვიმონის ასულს მეთისაშვილს.

შემოსვლა წიგნების მკითხველთაგან 114 მან. 94 კ, შემოწირულობა 55 მ. 20 კ, წარმოდგენითგან 59 მ. 14 კ, სხვადასხვა 10 მან. 48 კ, სულ

239 მ. 76 კ. 1 იან. 1898 წ. გამგეს ჰქონია დარჩენილი 3 მან. 52 კაბ. და გავგზავნა გამგეობისგან 35 მ. სულ მის ხელთ წლის განმავლობაში ყოფილა 278 მ. 28 კ, ხოლო თვით გამგეს დაუბარჯია 251 მ. 40 კ. და დარჩენია 1 იანვრისათვის 1899 წ. 26 მან. 88 კაბ. დანარჩენი ხარჯი გასტუმრებულია პირდაპირ გამგეობისგან.

გ) უღის სახალხო ბიბლიოთეკა

უღის სახალხო ბიბლიოთეკა დაარსებულია 1897 წ. 1898 წ. იანვრის 1-ს ჰქონდა 250 ცალი ქართული და რუსული 51 ც. წიგნი. 1 იანვრამდე 1899 წ. მიგმატა 94 ც. წიგნი, სულ შესდგა 344 ცალი ქართული და რუსულს მიგმატა 14 ცალი და სულ შესდგა 65 ც. წიგნი.

